ლოგოსი. წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში 6, 2020

ანა ქირია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

დამასკიოსის სწავლება ერთზე და გამოუთქმელზე

საკვანძო სიტყვები: დამასკიოსი; ერთი; გამოუთქმელი

დამასკიოსი ათენის ნეოპლატონური სკოლის უკანასკნელი დიადოხოსი იყო. მისი ფილოსოფია ანტიკური ნეოპლატონიზმის, ერთი მხრივ, ისტორიული, ხოლო, მეორე მხრივ, სპეკულატურ-სისტემური დამაგვირგვინებელი პუნქტია.[1] იგი მეტად ორიგინალური და უკიდურესად კრიტიკულია. დამასკიოსის აზროვნების აპორეტული[2] და მაძიებელი ბუნება გვიანპლატო-

---

1 Cürsgen 2007, 315.

2 ანტიკური პლატონიზმის დასასრულს მისი დასაწყისისთვის დამახასიათებელი აპორეტიკული მეთოდი ბრუნდება. აპორეტიკის მეშვეობით თავად აზროვნების ბუნება და აზროვნებისთვის სრულიად ტრანსცენდენტური აბსოლუტის მიმართ დამოკიდებულება გამოიხატება. აპორია მოიცავს იმ აზროვნებას, რომელმაც თითქმის ყველა თავისი შინაგანი შესაძლებლობა განახორციელა და ამოწურა. დამასკიოსის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომის – „პირველსაწყისებთან დაკავშირებული აპორიები და მათი გადაწყვეტანი“ განხილვა ამტკიცებს, რომ პროკლესგან განსხვავებით, უკანასკნელი დიადოხოსისთვის საეჭვოა, აზროვნებამ საწყისთა და კანონზომიერებათა სისტემურ ასახვასა და არქიტექტონულ მოწესრიგებას მიაღწიოს. იხ. Cürsgen 2007, 318. თუმცა, სპეკულატური ჩაღრმავების ძალით, სისტემური სიძლიერით, აზროვნების ინტენსივობით, ტერმინოლოგიური გამიჯვნის უნარითა და ცნებითი სიზუსტით დამასკიოსი არათუ ჩამორჩება პროკლეს, არამედ მის განაზრებებს ზოგიერთ პუნქტში აღრმავებს კიდეც. ზოგადად, დამასკიოსის შემეცნების თეორიასთან დაკავშირებით იხ. Cürsgen 2008, 75-98; ალექსიძე 2017, 11-34.

ნური სწავლებითა და მისი პროკლესეული სისტემატიზაციით გამუდმებული დაუკმაყოფილებლობის შედეგია. დამასკიოსთან ვპოულობთ პროკლეს მიერ შემუშავებული ფილოსოფიური სისტემის თითქმის ყველა ასპექტის მიმართ მკაცრ კრიტიკას.[3] „ბოლო ნეოპლატონიკოსი“ გამოდის პროკლეს ჩრდილიდან და პროკლეს ფილოსოფიის ოპოზიციად წარმოდგება. თავისი მოწაფის – სიმპლიკიოსისგან განსხვავებით, დამასკიოსი მუდმივად უპირისპირდება პროკლეს. შეიძლება ითქვას, რომ ანტიკური ნეოპლატონიზმი პროკლესთან დაპირისპირებით სრულდება.[4]

დამასკიოსისა და პროკლეს ფილოსოფიურ პოზიციათა შორის სხვაობა ნათლად იკვეთება უზენაესი საწყისისადმი ამ ორი მოაზროვნის დამოკიდებულებაში. პროკლე, პლოტინის მსგავსად, უპირველეს საწყისად ერთს აღიარებს, მაშინ როდესაც, დამასკიოსი, იამბლიქოსის კვალად, უზენაეს საწყისს ერთად (τὸ ἕν) და ერთის მიღმურ გამოუთქმელად (τὸ ἄρρητον) აორებს და, საბოლოოდ, ერთს გამოუთქმელზე დაქვემდებარებაში აყენებს. აქ მონიშნული განსხვავების მიზეზი, თავის მხრივ, უმაღლესი ერთის გააზრების პროკლესეულ და დამასკიოსისეულ წესთა შორის დაპირისპირებაში ძევს. პროკლე თვითერთს ექსკლუზიურად იაზრებს[5] და, შესაბამისად, მისგან ყველაფერს სავსებით გამორიცხავს[6], მაშინ, როდესაც ათენის ნეოპლატონური სკოლის უკანასკნელი დიადოხოსისთვის

---

3 van Riel 2010, 696.

4 Cürsgen 2007, 315.

5 თვითერთის პროკლესეული გაგებისათვის იხ. ქირია 2019, 193-226.

6 პროკლეს მიერ უზენაეს ერთში ყველაფრის არადიფერენცირებულად ჩართვის მცდელობათა კრიტიკისთვის, უპირველესად, იხ. Procl. *in Prm.* VI, 1107, 9–1108, 30; VI, 1114, 4-15.

უმაღლესი ერთი ინკლუზიურია, თავის თავში არადიფერენ-ცირებული წესით ითავსებს სიმრავლესა და ტოტალობას (πάντα) და „ერთ-ყველაფრად“ (τὸ ἓν πάντα) წარმოდგება. ლოგიკურია, ამგვარი ერთის ტრანსცენდენტობა და გამო-უთქმელობა, ექსკლუზიური ერთისგან განსხვავებით, მხოლოდ შეფარდებითია, და ახალი, აბსოლუტურად ტრანსცენდენტური და გამოუთქმელი საწყისის დაშვების შანსს იძლევა. შესაბა-მისად, დამასკიოსი ნეოპლატონიკოსთათვის არსებითი „ერთზე ფილოსოფოსობის“[7] გვერდით „გამოუთქმელზე ფილოსოფოსო-ბას“ იწყებს. ერთისა და გამოუთქმელის შესახებ დამასკიოსის სწავლების განხილვა საინტერესოა როგორც თავისთავად, ასევე ამ უკანასკნელი ნეოპლატონიკოსის ფილოსოფიის ორიგინალუ-რი, კრიტიკული და ანტაგონისტური ხასიათის წვდომის თვალ-საზრისით.[8]

დამასკიოსი უშვებს ტოტალობის სამ გამოვლინებას: ერთებ-რივს (ἑνιαίως), ერთიანსა (ἡνωμένως) და მრავლობითს (πεπληθυσμένως). მრავლობითი ტოტალობა სინამდვილის იერ-არქიაში ყველაზე დაბალ საფეხურს იკავებს. ამ დონეზე ყველა-ფერი დიფერენცირებულ სიმრავლედ რეალიზდება. მრავლო-

---

7 Plot. VI 9, 3, 14: περὶ τὸ ἓν φιλοσοφήσειν.

8 აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში წინ წამოიწია ჰიპოთეზამ დამასკიოსისა და არეოპაგიტული კორპუსის ავტორის ერთმანეთთან იგივეობის შესახებ. იტალიელი მეცნიერი კარლო მარია მაძუკი ფსევდო-დიონისეს დამასკიოსთან აიგივებს და არეოპაგიტულ კორპუსს „წარმართობის უკანასკნელ კონტრშეტევად“ (*l'ultima controffensiva del paganesimo*) სახავს. იხ. Mazzucchi 2006, 299-334; Mazzucchi 2013, 249-265. ზოგადად, დამასკიოსსა და ფსევდო-დიონისეს შორის არაერთი დოქტრინალური და ტერმინოლოგიური შესატყვისობის გამოვლენა შეიძლება. ეს ეხება ღმერთის ფსევდო-დიონისესეულ გაგებასაც, რომელზეც გარკვეული გავლენა უნდა ჰქონოდა ერთზე და გამოუთქმელზე დამასკიოსის სწავლებას. იხ. Lilla 1997, 117-152; ასევე, ფსევდო-დიონისესთან ერთისა და ღმერთის კონცეფციასთან დაკავშირებით იხ. de Andia 1996, 200-204.

ბით და დიფერენცირებულ ტოტალობას ჰყავს ორი საწყისი – ერთიანი და ერთი[9]. ერთიანი (ἡνωμένον) არსებულთა შორის ყველაზე მარტივია და ყველაფერს ერთიანად და არადიფერენცირებულად შეიცავს. მასში არ არსებობს შინაგანი მრავლობითობა, თანწყობა, გაორება ან საკუთარი თავისადმი მიმართება.[10] ერთი სიმარტივით ერთიანს აღემატება და მთელი არსებობის სფეროს მიღმურია. ერთიანისგან განსხვავებით, თავისთავადი ერთი, რომელიც დამასკიოსის მიერ ერთ-ყველაფრადაა დასახული, ყველაფერს ერთებრიობით იტევს, ისე, რომ მასში ერთისა და ყველაფრის, ერთისა და სიმრავლის ოპოზიციის წევრთა „ურთიერთობას“ აქვს არა სინთეზის ან შერევის (μῖξις), თუნდაც ყველაზე მჭიდროსი, როგორც ეს ერთიანის შემთხვევაში ხდება, არამედ აბსოლუტური დამთხვევის ხასიათი. ეს მდგომარეობა არის ე. წ. contradictio oppositorum, რომელშიც დაპირისპირებულები ერთმანეთს კი არ უკავშირდებიან სინთეზის ჩამოსაყალიბებლად, არამედ ერთმანეთს ხსნიან აბსოლუტური ტოლობისა და ერთობის უფორმობაში.

დანარჩენი ნეოპლატონიკოსების მსგავსად, დამასკიოსთანაც აღიარებულია სიმრავლეზე ერთის პრიორიტეტი, ერთი მრავლის მიზეზად და მწვერვალადაა დასახული[11] და, ცხადია, დამოუკიდებელი, თავისთავადი ყოფიერება მიეწერება. თუმცა, უკანასკნელი დიადოხოსისთვის ერთის თავისთავადობა სიმრავლისგან აბსოლუტურ განყენებულობას არ ნიშნავს. დამასკი-

---

9 Dam. *Pr.* I, 3, 5-10. აქ და შემდგომშიც დამოწმება ხდება რუელის გამოცემის მიხედვით.

10 Dam. *Pr.* I, 24, 10-13.

11 Dam. *Pr.* I, 5, 7: μόνον τὸ ἓν αἴτιον τῶν πολλῶν; Dam. *Pr.* I, 2, 20: κορυφὴ μὲν τῶν πολλῶν τὸ ἕν. შდრ. Plot. V 3, 12, 9-10: δεῖται πρὸ τοῦ πολλοῦ τὸ ἓν εἶναι, ἀφ’οὗ καὶ τὸ πολύ. შდრ. ასევე, Plot. V 4, 1, 5-8; V 6, 2, 20; Procl. *Inst.* prop. 1-5.

ოსთან ერთის მიზეზობრიობა, რომელიც საკუთრივი მნიშვნელობით გაიაზრება, ერთის წმინდა, სიმრავლის სრულიად გამომრიცხავი ერთობის გაუქმებას განაპირობებს, ისე რომ სიმრავლესთან მიმართება თავად ერთის ბუნებაშია უკვე ჩადებული. დამასკიოსის სიტყვებით, უფრო ჭეშმარიტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სიმრავლე ერთშია ჩართული.[12] ერთი და სიმრავლე არსებითად ერთმანეთს უდრის. მათ შორის მხოლოდ ხარისხობრივი განსხვავება არსებობს. უზენაესი ერთი სიმრავლის საუკეთესო ფორმა, მრავლის სუპერკონცენტრირებული სახით რეალიზაციაა, სიმრავლე კი დაშლილ და დაქვეითებულ ერთობად ვლინდება. თუ სიმრავლე ყოფიერებას განყოფით იძენს, ერთი სიმრავლის დანაწევრებამდელ მდგომარეობას წარმოადგენს და მრავალი უკვე სრულიად განუყოფლადაა.[13] მაშასადამე, თვითერთის აღმატებულება დამასკიოსისთვის ერთისა და სიმრავლის ისეთ ურთიერთთანხმობას გულისხმობს, რომელშიც ერთსა და სიმრავლეს შორის ოპოზიცია ბოლომდე მოხსნილია და, ამგვარად, ერთიც და მრავალიც აბსოლუტურად სიმულტანურად აღწევენ თავიანთი არსების საუკეთესო ფორმით განხორციელებას. ერთი მრავლის მეშვეობით ყოვლისმომცველობას იძენს, მრავალი კი დანაწევრებულობას კარგავს და თავისი უწმინდესი, უმარტივესი სახით მჟღავნდება.

მრავლისშემცველ თავისთავად ერთს არ მიეწერება აბსოლუტურად თვითკმარი ყოფიერება. ის თავს სიმრავლესთან დამთხვევაში ავლენს. დამასკიოსის გაგებით, ერთი არ წარმოად-

---

[12] Dam. *Pr.* I, 60, 1: ἐκεῖνό γε ἀληθεστέρον εἰπεῖν ὅτι καὶ τὸ πλῆθος ἐν τῷ ἑνί. შდრ. აგრეთვე, Dam. *in Prm.* II, 120, 17-18: οὐ μόνον ἄρα τὸ ὂν ἓν πολλά ἐστιν, ἀλλὰ καὶ αὐτὸ τὸ ἓν ὑπὸ τοῦ ὄντος διανενεμημένον πολλὰ ἀνάγκη εἶναι.

[13] Dam. *Pr.* I, 2, 24-25: ὅσαπέρ ἐστι τὰ πολλὰ κατὰ δή τινα μερισμόν, τοσαῦτα καὶ τὸ ἓν πρὸ τοῦ μερισμοῦ, κατὰ τὸ πάντη ἀμερές.

გენს მინიმუმს, რომელიც ყველანაირ სისავსეს გამორიცხავდა და თავის სიმცირეში სრულიად ცარიელი იქნებოდა. თვითერთის ბუნება მაქსიმალურ დატვირთულობაში ძევს. ის ყველაფერს რადიკალურად კი არ განეყენება, არამედ, პირიქით, ყველაფერს შთანთქავს[14], თავისი სიმარტივის წყალობით სხვებს ანადგურებს და ყველაფერს ერთად აქცევს.[15] ამდენად, დამასკიოსთან ერთ-ყველაფრად განსაზღვრული ერთის სიმარტივე, უპირველესად, ყველაფრის უარყოფას კი არა, ყოვლისმომცველობასა და ყოვლისშთანმთქმელობას[16] გულისხმობს. ერთი იმიტომაა მარტივი, რომ ყველაფერს მოიცავს და ყველაფერია.[17] ერთის სიმარტივე ისევე ემთხვევა ყველაფრობას (παντότης), როგორც თვით ერთი ყველაფერს. ყველაზე მარტივი, ამავდროულად, ყველაზე ყოვლისმომცველია.

დამასკიოსი აღწერს, თუ როგორ მუშაობს ან უნდა მუშაობდეს გონება ერთი-ყველაფრის კონცეფციასთან შეხებისას. ამ დროს ის ერთდროულად ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ოპერაციას მიმართავს – ყველაფერი ერთის სახით მინიმუმამდე დაჰყავს, უმარტივეს ერთს კი ყველაფრობამდე „ზრდის“ და მაქსიმუმად გარდაქმნის. სწორედ სიმულტანური შეკუმშვისა და გაფართოების გზით უნდა იქნეს მიღწეული მინიმუმისა და მაქსიმუმის, სიმარტივისა და ყოვლისმომცველობის, ერთისა და ყველაფრის აბსოლუტური თანხვედრის წვდომა. ყოვლისმომცველი ტოტალობის ერთებრიობაში შეკუმშვისა და უმარტივესი ერთის უზარმაზარ მასშტაბებში გაშლის წარმოდგენის კვალად,

---

[14] Dam. *Pr.* I, 3, 2: ἓν ὡς πάντα καταπιόν.

[15] Dam. *Pr.* I, 3, 2-3: γὰρ ἑαυτοῦ ἁπλότητι πάντα συνανέλυσεν, καὶ ἓν τὰ πάντα ἐποίησεν.

[16] Dam. *Pr.* I, 4, 4: τῆς πάντα καταπιούσης ἁπλότητος, οἵα ἡ τοῦ ἑνός.

[17] Dam. *Pr.* I, 60, 5-6: τοῦτο γὰρ ἁπλούστατον ὅτι περιεκτικώτατον, διὸ καὶ πάντα.

გონება თავადაც მაქსიმალურად კონცენტრირებული ფორმით უნდა „დაიტვირთოს“ და ზეაღივსოს. დამასკიოსი მიუთითებს, რომ თვითერთზე ფიქრისას გონებაში მომცველობითი აზროვნების კვალი იღვიძებს და მყისიერად ჭეშმარიტების სინათლე ბრწყინდება. ამ დროს დაყოფილი აზრები წრის ცენტრში თავმოყრილ რადიუსებს ემსგავსებიან. ერთურთისგან გამიჯნულნი ერთად იკრიბებიან, ერთგვარისა და მარტივის სახით ერთმანეთს მწვერვალისკენ ეწევიან და, საბოლოოდ, სრულყოფას შერწყმაში (σύμπτωσις) აღწევენ.[18] თავისთავადი ერთი დამასკიოსთან, სწორედ, ცალკეულ ერთეულთა უსასრულო სიმრავლის უმჭიდროეს შერწყმად გაიაზრება. თითოეული ერთი ისევე ერთიანდება თვითერთში, როგორც თითოეული არსებული არადიფერენცირებულ ერთიან არსებულში. ასე რომ, პირველი ერთის უმარტივესი ბუნება ყოვლისმომცველობაში რეალიზდება, ყოვლისმომცველობა კი, პირიქით, სიმარტივეში მჟღავნდება. ამიტომაც ხდება აზროვნებისთვის ერთ-ყველაფერში სახელი „ერთი“ (ἕν) სიმარტივის სიმბოლო, „ყველაფერი“ (πάντα) კი – ყოვლისმომცველობისა.[19] ერთი-ყველაფრის საწვდომად დამასკიოსი აბსტრაქციასა და ნეგაციას არ მიმართავს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ყველაფერს ერთიანად წნავს, რათა დიდ ბუნებას ჩაწვდეს, და, ამავდროულად, მარტივისა და პირველის დანახვის მიზნით, ამ ყველაფერს ერთ წერტილში კრავს.[20] მაშასადამე, ერთი-ყველაფრის წარმოდგენისას გონება სიმულტანური შეკუმშვა-გაფართოების ოპერაციით უნდა ხელმძღვანელობდეს. უმარტივესი ერთი შეკუმშულობას, ყველაფერი კი ყოვლისმომ-

[18] Dam. *Pr.* I, 54, 20-25.

[19] Dam. *Pr.* I, 54, 1-2.

[20] Dam. *Pr.* I, 53, 24-26.

ცველობასა და ტოტალობის უზარმაზარ მასშტაბებამდე გაფართოებას მოასწავებს.

დამასკიოსი აღიარებს, რომ უზენაესი ერთი, როგორც ერთი-ყველაფერი, წინ უსწრებს ყველაფერს (πάντα πρὸ πάντων). თუმცა, ერთის წინარე-ყველაფრობა არ არის არასრული, პოტენციური (οὐκ ἀτελῶς, ὡς δυνάμει) ან მიზეზობრივი, მიზეზში ჯერ კიდევ არმყოფი (οὐδὲ κατὰ αἰτίαν, ὡς μήπω πάντα). ის ყველაფერი არადიფერენცირებული მყოფობის მიხედვით (πάντα κατὰ ὕπαρξιν ἀδιάκριτον) არის და ზესიმარტივით წარმოადგენს ყველა იმ საგანს, რომელიც გამოსვლისას დიფერენცირებულად უნდა გამოიკვეთოს. შესაბამისად, მისი წინარე-ყველაფრობა გულისხმობს ყველაფრის განურჩეველი, ერთებრივი სახით ფლობას. ბუნებრივია, ყველაფრის უინტენსიურესად შემცველი ერთი სრულყოფილად შეასრულებს ყველაფრის მიზეზის ფუნქციას. დამასკიოსი მას ყველანაირი თვალსაზრისით მიზეზად[21], საკუთრივ მიზეზად (τὸ κυρίως αἴτιον) განსაზღვრავს. ერთისა და ყველაფრის ურთიერთდამთხვევაში ყველაფერი უფრო საკუთრივია, ვიდრე თავისთავად აღებული იქნებოდა, ერთი-ყველაფრისგან გამოშლის კვალად კი ყოველი საგანი კერძოვდება და არასრულფასოვანი ხდება.[22] მაშასადამე, უზენაესი ერთის ბუნება ჭეშმარიტად ყოვლისმომცველი და ყველაფრის წარმომქნელია. ერთი-ყველაფრიდან ნამდვილად შეიძლება იბადებოდეს ყველაფერი. თავად ასეთი ერთის ბუნებაშია ჩადებული მიზეზობრიობა. ის, როგორც ყველაფრის უდიდესი მოცვა[23], დამასკიოსისთვის ბუნებრივად (ἀτεχνῶς) არის „პირველი“, ყველაფრის უკ-

[21] Dam. *Pr.* I, 5, 8: πάντως αἴτιον.

[22] Dam. *Pr.* I, 52, 23 – I, 53, 5.

[23] Dam. *Pr.* I, 5, 2: ἡ μεγίστη περιοχή.

ანასკნელი გვირგვინი[24] და უგანუყოფელესი მწვერვალი,[25] რაც მას, საბოლოოდ, მისგან განვითარებულ ყველაფრობებთან ერთ წყებაში აყენებს[26] და ე.წ. უნივერსალური ტოტალობის კუთვნილებად აქცევს. პლოტინისა და პროკლეს თავისთავადი ერთისგან განსხვავებით, დამასკიოსის თვითერთი ყველაფრის მიღმა[27] აღარ შეიძლება იმყოფებოდეს. ის ყველაფრობების წყებად ჩამოყალიბებული უნივერსუმის ორგანული ნაწილია[28] და, შესაბამისად, ყველაფერთან ერთად (μετὰ τῶν πάντων) ყველაფრის საზღვრებში მყოფობს.

ვინაიდან ერთი-ყველაფერი უნივერსალური ტოტალობის ნაწილია, წარმოებულებთან ნამდვილ მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებში დგას, მათთან საკუთრივი მნიშვნელობით ამჟღავნებს საერთოს და მათდამი თანწყობილია, იგი ბუნებრივად დაექვემდებარება შემეცნებას. [29] დამასკიოსის თვალსაზრისით, თვითერთი უმაღლეს დონეზე რეალიზებული ტოტალობაა. ის აგვირგვინებს ყველაფრობების მიმდევრობის სახით გაფორმებულ უნივერსალურ ტოტალობასა და ამ უკანასკნელთან უშუალოდ გადაბმულ შემეცნების ჯაჭვს. „ყველაფერს“ სწორედ იმას ვუწოდებთ, რასაც როგორღაც შევიმეცნებთ. ერთი-ყველაფრის მიღმა კი სხვა ყველაფერი აღარ არსებობს. მაშასადამე, თვითერთი ზედაზღვრულ[30] უკიდურეს ტოტალობას წარმოადგენს და

---

[24] Dam. *Pr.* I, 5, 1: θριγκὸς τῶν πάντων.

[25] Dam. *Pr.* I, 5, 1: ἀμερεστάτη κορυφή.

[26] დამასკიოსის მიხედვით, ერთ-ყველაფერსა და მის მომდევნო ყველაფრობებს ერთმანეთთან საერთო (κοινόν) აქვთ. იხ. Dam. *Pr.* I, 14, 8-10.

[27] ἐπέκεινα τῶν πάντων. შდრ. Plot. I 7, 1, 19-20; III 8, 9, 53-54; V 1, 6, 13; V 3, 13, 2; V 4, 2, 39-40; V 5, 6, 8-11 და ა. შ.

[28] Dam. *Pr.* I, 45, 14: γὰρ τι τῶν πάντων.

[29] Dam. *Pr.* I, 12, 29 – I, 13, 3.

[30] Dam. *Pr.* I, 1, 14: πέρας τὸ ἄνω.

უკიდურესი შემეცნებადი და გამოთქმადი ობიექტია.[31] ის ყველაზე ნაკლებად შემეცნებადი და გამოთქმადია იმათ შორის, რაც კი რამენაირად შეიმეცნება და გამოითქმება. მისი ადეკვატური შემეცნება და გამოხატვა დიფერენცირებული აზროვნებისა და ენის პირობებში გამორიცხულია. მას „ერთისა“ და „ყველაფრის“ ცნებებიც კი არ შეეფერება სავსებით. ერთი და ყველაფერი ჩვენს მრავლობით დიფერენცირებულ ტოტალობაში ერთმანეთს უპირისპირდება და აზრსაც ყოფს, მაშინ როდესაც ერთ-ყველაფერში ყოველგვარი დაპირისპირება და დანაწევრებულობა გაუქმებულია. თუ ერთს უმარტივესად განვიხილავთ, მხედველობიდან ვკარგავთ ერთს, რომელიც მარტივთან შედარებით უზარმაზარია. ერთის ყველაფრად მოაზრებისას კი, პირიქით, უმარტივეს ერთობას უგულებელვყოფთ.[32] გონებას თეორიულად ესმის, რომ ერთ-ყველაფერზე ფიქრისას ერთი და ყველაფერი ერთმანეთს არ უნდა დაუპირისპიროს, მაგრამ პრაქტიკულად აზროვნება თავს ვერ აღწევს თავის დიფერენცირებულ სტრუქტურებს. დამასკიოსის განმარტებით, ჩვენ არ შეგვიძლია ერთთან დაკავშირებით აზრი ერთადერთ სიტყვაში ჩავტიოთ და მრავლობითი ცოდნა ერთებრივ ცოდნად გარდავქმნათ.[33] აქედან გამომდინარე, უმარტივესი ყოვლისმომცველი ერთი-ყველაფერი ყველაზე გამოუთქმელ გამოთქმადად წარმოდგება.

ერთი-ყველაფრის სახით უკვე მივაგენით ყველაფრის საკუთრივ საწყისსა და მიზეზს. თუმცა, ყველაზე დიდი სირთულე დამასკიოსისთვის, სწორედ, აქ იმალება. ერთი-ყველაფერი

---

[31] Dam. *Pr.* I, 13, 15-16: τὸ ἓν ἔσχατόν ἐστι γνωστόν.

[32] Dam. *Pr.* I, 53, 19-24.

[33] Dam. *Pr.* I, 4, 18-22.

არ შეიძლება იყოს ყველაფრის საწყისი და მიზეზი, რადგან ის ყველაფრის საკუთრივი, ნამდვილი საწყისი და მიზეზია. ზემოთქმულის გასაგებად უნდა მივმართოთ De Principiis პირველ თავს[34], რომელშიც დამასკიოსი ყველაფრის პირველსაწყისთან დაკავშირებით წამოჭრილ აპორიებს გადმოსცემს. ყველაფრის პირველსაწყისი ან ყველაფრის მიღმური უნდა იყოს ან მისგან გამომავალი რეალობის მწვერვალს წარმოადგენდეს. ყველაფრის საწყისი, რომელიც ტოტალობის საზღვრებში თავსდება, ცხადია, ამჟღავნებს იმ ნიშნებს, რაც ყველაფრისთვისაა დამახასიათებელი. მისი არსება თავისთავადობაში ყველაფერთან მიმართებითაა აღბეჭდილი. ასეთი საწყისი ბოლომდე იტვირთავს თავის თავზე ყველაფრის წარმოშობის პასუხისმგებლობას და უინტენსიურესადაა ყველაფრობით განმსჭვალული. ყველაფრის საკუთრივი პირველსაწყისი თავადვე წარმოადგენს ყველაფრობას და ყველაფერს აღმატებული ფორმით მოიცავს. ის სინამდვილის ზედა ზღვარს ქმნის და იმ საგნებთან თანაარსებობს, რომლებიც მისგან გამომდინარეობენ. თუმცა, თუ საწყისი უნივერსალური ტოტალობის ერთ თანწყებაშია ჩართული და თავისთავადობაში ყველაფერს იმეორებს, მაშინ თვითონ ყველაფერი უსაწყისო და უმიზეზო იქნება. პირველსაწყისის დონეზე ტოტალობის პროეცირება ვერ ხსნის ტოტალობას. აქედან გამომდინარე, ერთი-ყველაფერიც არ უნდა იყოს საკმარისი ყველაფრის წარმომავლობის გასააზრებლად. თუ თვითერთის კონცეფციის შემუშავებისას დამასკიოსი უპირისპირდებოდა პროკლეს ექსკლუზიური, წმინდა ერთის გაგებას, „პირველსაწყისის“

[34] De Principiis პირველი აპორიის ფართო ანალიზისთვის იხ. Napoli 2008, 128-199. ამავე ნაშრომის მესამე და მეოთხე ნაწილებში განხილულია პირველსაწყისის შესახებ პროკლესა და დამასკიოსის თეორიათა შორის არსებული დაპირისპირება.

ცნებაზე კონცენტრაციისას ის სავსებით მისდევს პროკლეს, საერთო (ნეო)პლატონურ ტრადიციას და დარწმუნებულია, რომ საწყისში ყველაფრის ჩართვა უსასრულობაში გადავარდნის საფრთხეს შეიცავს.[35] ტოტალობის ახსნა-გამოძიების პროცესს სასრული არ დაედება მანამ, სანამ აბსოლუტურად ყოვლისმიღმურ საწყისამდე არ მივალთ, რომელიც თავისთავადობაში ყველაფერთან მიმართებას სავსებით გამორიცხავს და per se სრულიად გამოუთქმელი იქნება.

როგორ შეიძლება რაღაც ყველაფრის გარეთ (πάντων ἐκτός) იყოს, მაშინ როდესაც ყველაფერი ისაა, რასაც არაფერი აკლია? ყველაფრის საზღვრებს იქით წესით არაფერია და თუ მაინც დავუშვებთ ყოვლისმიღმურ საწყისს, მაშინ ან ყველაფერი აღარ იქნება ყველაფერი ან საწყისი გამოვლინდება არაფრად. ყველანაირი სირთულის მიუხედავად, დამასკიოსის სიტყვებით, სული წინასწარმეტყველურად ასკვნის[36], რომ საწყისი ყველაფრის მიღმური და ყველაფერთან თანუწყობელია.[37] აბსოლუტურად ტრანსცენდენტური საწყისი ვერც ერთი იქნება და ვერც ყველაფერი. ყველაფრის საკუთრივი პირველსაწყისისგან – ერთი-ყველაფრისგან – განსხვავებით, მისგან არ გამომდინარეობს ყველაფერი. ყველაფრის მიღმური საწყისი არაფერი არაა ყველაფრიდან და საერთო არ აქვს ყველაფერთან. ამიტომ, ის „საწყისად“, „მიზეზად“, „პირველად“, „ყველაფრის წინარედ“ და „მიღმურად“ არ უნდა იწოდებოდეს.[38] ასეთი „პირველ-

---

[35] Plot. III 8, 9, 32-54; Procl. *in Prm.* VI, 1107, 9 – 1108, 20; VI, 1114, 1-20.

[36] μαντεύεται. წინასწარმეტყველური დასკვნა გამოცდილებასა და განსჯაზე არაა დამყარებული.

[37] Dam. *Pr.* I, 4, 6-7: ἀσύντακτον πρὸς πάντα.

[38] Dam. *Pr.* I, 4, 8-9.

საწყისი“ არანაირად არ ექვემდებარება შემეცნებას. ის „სრულიად გამოუთქმელია“ (τὸ πάντῃ ἄρρητον).

თუ უზენაესი ერთი დამასკიოსისთვის ყველაფერია, ერთის მიღმური გამოუთქმელი უკვე არაფერს უთანაბრდება. ერთი არსებულის უარყოფაა, მაშინ როდესაც გამოუთქმელი თავად ერთის უარყოფას [39] წარმოადგენს და თითქოს არაფერია. მართალია, დამასკიოსი წმინდა, ყველაფრის სრულიად გამომრიცხავ ერთს არ უშვებს, თუმცა ერთი-ყველაფრის მიღმურ გამოუთქმელს მიახლოებით ისევე უდგება, როგორც ეს პროკლესეულ არა-ყველაფერ წმინდა, ექსკლუზიურ ერთთან მიმართებით იქნებოდა შესაძლებელი. გამოუთქმელი „ყველაფრის გარღვევაა“.[40] მასზე თავისთავად დაფიქრებისას აზროვნება იძულებულია, თავიდან ნეგაციის რადიკალიზებულ ფორმაში გადაეშვას და გამოუთქმელთან დაკავშირებით უკლებლივ ყველაფერი უარყოს. გამოუთქმელს არანაირი საერთო არ აქვს აქაურ საგნებთან. ერთი-ყველაფრისგან განსხვავებით, მასში არაფერი არსებობს ისეთი, რაც განისჯება, მოიაზრება და გამოითქმება. ის არ არის არც ერთი, არც მრავალი, არც შობისშემძლე, არც წარმომქმნელი, არც მიზეზობრივი. გამოუთქმელს per se ვერ მიეწერება პროოდოსი. ის არც მაღლაა და არც დაბლა, არც პირველია და არც უკანასკნელი, არც ყველაფრის გვირგვინია და არც ყველაფერს მოიცავს.[41] საბოლოოდ, გამოუთქმელის წარმოდგენის მცდელობისას გონება ტოტალობას და ამ უკანასკნელთან განუყოფლად გადაჯაჭვულ შემეცნებას განეყე-

---

[39] Dam. *Pr.* I, 13, 24: ἀπόφασις τοῦ ἑνός.

[40] Dam. *Pr.* I, 13, 25: πάντων ἔκπτωσις. ἔκπτωσις, ἐκπίπτω ნიშნავს მოწყვეტას, მოგლეჯას, მიტოვებას, გამოყოფას, გაქცევას, გარღვევას.

[41] Dam. *Pr.* I, 16, 5 – I, 17, 12.

ნება და სიცარიელეში [42] ხვდება. თუმცა, გამოუთქმელი იმდენად ნეგატიურია, რომ მასთან მიმართებით რადიკალური აბსტრაჰირებისა და ნეგაციის ოპერაციებიც კი კრახით მთავრდება. ყველაფრის ტრანსცენდენტური საწყისის თავისთავადობაში განსაზღვრა ან გამოთქმა აზროვნებისთვის სრულიად მიუღწეველი რჩება. გონება, როგორც არ უნდა ცდილობდეს აბსოლუტურად გამოუთქმელის წარმოდგენასა და გამოთქმას, მაინც სავსებით ძალადაკარგული იქნება გამოუთქმელის ბუნების „წინაშე“. [43] შექმნილი მდგომარეობის გაცნობიერების შემდეგ მას უწევს, ნეგაციის ნეგაციის ფაზაში გადართვის კვალად, საკუთარი ნააზრევი უარყოს და აღიაროს, რომ გამოუთქმელი არც არაფერი, არც ყველაფრის მიღმური, არც ზემიზეზი და არც თანუწყობელია. [44] გამოუთქმელზე ყოველი ღრმა და თანმიმდევრული რეფლექსია იმის დადგენით სრულდება, რომ გამოუთქმელის გარშემო სრული უცოდინრობა, ზეარცოდნა [45] სუფევს. ჩვენ მას ვერც როგორც შემეცნებულს და ვერც როგორც შეუმეცნებელს ვერ შევიცნობთ.

---

[42] დამასკიოსი ერთმანეთისგან მიჯნავს ორი ტიპის არარასა და სიცარიელეში გადასვლას. პირველი არარა ერთზე უკეთესია (κρεῖττον τοῦ ἑνός), მეორე კი – პირიქით. შესაბამისად, პირველნაირი სიცარიელეში მოხვედრა გამოუთქმელთანაა დაკავშირებული, მეორენაირი კი – არანაირად არარსებულთან (τὸ μηδαμῆ μηδαμῶς ὑπάρχον). იხ. Dam. *Pr.* I, 6, 22-26. ტერმინი κενεμβατεῖν ეკუთვნის პლოტინს და არარსებობის დონეზე დაშვებისას სულის მდგომარეობას გამოხატავს. იხ. Plot. III, 9, 3, 11. დამასკიოსი ამ ტერმინით ერთზე უკეთეს გამოუთქმელთან მიდგომის წესს ახასიათებს და, ამგვარად, ტერმინს დადებით მნიშვნელობას სძენს. ზოგადად κενεμβατεῖν-თან, ასევე, უზენაეს საწყისთან მიმართებით κενεμβατεῖν-ისადმი პროკლესა და დამასკიოსის განსხვავებულ დამოკიდებულებებთან დაკავშირებით იხ. Vlad 2017, 46-70.

[43] De principiis-ში გამოუთქმელის შემეცნების შეუძლებლობასთან დაკავშირებით ფართოდ იხ. Vlad 2014, 213-233; ასევე, Гарнцев 1999, 23-30.

[44] Dam. *Pr.* I, 10, 25 – I, 11, 1.

[45] Dam. *Pr.* I, 13, 20: παντελὴς ἄγνοια; Dam. *Pr.* I, 56, 8: ὑπεράγνοια.

მასთან შეხებისას ჩვენი წარმოდგენები ყველანაირად ტრიალ-დება[46]. ის თითქოს არაფერია და როგორც არაფერი, დამასკი-ოსის მითითებით, არაფერიც კი არაა.[47] გამოუთქმელისადმი ლტოლვით აღვსილი სულის ფიქრები წმიდათაწმიდას წინა-ბჭეში რჩება[48] და არაფერს იუწყება თვით გამოუთქმელზე. მისდამი მიმართული სიტყვები მხოლოდ ჩვენს საკუთარ გან-ცდებს, აპორიებსა და გაჭირვებას განაცხადებს მტკიცებათა ფორმით.[49]

გამოუთქმელთან დაკავშირებული აპორიების მიუხედავად, დამასკიოსი არ უარყოფს არარასთან გათანაბრებულ გამოუთ-ქმელს და მას უდიდეს პატივს მიაგებს. სწორედ ამ დროს ჩანს, რომ უკანასკნელი დიადოხოსი ერთზე ფილოსოფოსობით აღ-ბეჭდილ ნეოპლატონურ ჰენოლოგიურ მეტაფიზიკას, რომელ-საც საფუძვლად ერთიანობის, როგორც სინამდვილის უმთავრე-სი განმსაზღვრელის, და ერთის, როგორც ერთიანი არსებობის უმაღლესი საწყისის, გაცნობიერება უდევს,[50] განვითარების

---

[46] Dam. *Pr.* I, 13, 22: περιτρεπόμεθα πανταχῆ.

[47] Dam. *Pr.* I, 13, 20-24.

[48] Dam. *Pr.* I 7, 8: ἐν προθύροις ἑστηκυιῶν τοῦ ἀδύτου. შდრ. Procl. *in Prm.* 1114, 10-13; *Theol. Plat.* II 6, 42, 10. შდრ. ასევე, Plot. VI, 9, 11, 15-35 პასაჟი, რომელშიც პლოტინი უზენაესი ერთის წვდომას ახასიათებს, როგორც ტაძრის წმიდათაწმიდაში შეღწევას. პლოტინისა და პროკლესგან განსხვავებით, დამასკიოსი გამოუთქმელთან და არა ერთთან მიმართებით იყენებს „წმიდათაწმიდას“ სახეს.

[49] Dam. *Pr.* I, 7, 3-8. აქვე შედარებისთვის, პლოტინი ამბობს, რომ ჭეშმარიტად გამოუთქმელ ერთზე ფიქრი და მსჯელობა თითქოს ჩვენი საკუთარი განცდების განმარტებაა ერთის გარშემო რბენისას. იხ. Plot. VI 9, 3, 53.

[49] Dam. *Pr.* I, 7, 3-8. აქვე შედარებისთვის, პლოტინი ამბობს, რომ ჭეშმარიტად გამოუთქმელ ერთზე ფიქრი და მსჯელობა თითქოს ჩვენი საკუთარი განცდების განმარტებაა ერთის გარშემო რბენისას. იხ. Plot. VI 9, 3, 53.

[50] ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, პირველ რიგში, იხ. ნეოპლატონიზმის ფუძემდებლის პლოტინის რიგით მეცხრე, ერთისადმი მიძღვნილი, ფუნდამენ-

ალტერნატიულ მიმართულებას სთავაზობს. მისთვის ამოსავალი გამოუთქმელობის გაგება ხდება, ერთობის გაგების საპირისპიროდ. [51] ყველაზე გამოუთქმელი, უმიმართებო და შეუცნობელი ყველაზე წმინდად და დასაფასებელადაა აღიარებული. [52] სინამდვილის ყოველი დონე, უზენაესი ერთის ჩათვლით, შეფარდებით გამოუთქმელად განისაზღვრება, მაშინ როდესაც ტოტალობის მიღმური გამოუთქმელის გამოუთქმელობა აბსოლუტურია. შედეგად, სინამდვილის იერარქიაში პოზიციების გადანაწილება ხდება არა ერთობის, არამედ გამოუთქმელობის ხარისხის და გამოუთქმელთან – ახალ უმაღლეს საწყისთან – სიახლოვის მიხედვით.

გამოუთქმელის აღიარების „გასამართლებლად“ დამასკიოსის ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი სულში არსებული ზებრწყინვალე ჭეშმარიტების რაღაცნაირი შეგრძნებაა[53], რომელიც ჩვენთვის შედარებით ნაცნობიდან გამოუთქმელზე გადასვლას ეფუძნება. ამ სამყაროში სრულიად უმიმართებო (ἄσχετον) მიმართებაში მდგომზე (τὸ ἐν σχέσει) მეტად ფასდება (τιμιώτερον), თანუწყობელი (συντεταγμένον) კი – თანწყობილზე (ἀσύντακτον). შესაბამისად, მარტივ მიზეზებზე, მიზეზოვნებზე,

---

ტური მნიშვნელობის ენნეადის პირველი ორი თავი. ნეოპლატონური მეტაფიზიკის ჰენოლოგიურ ხასიათთან დაკავშირებით იხ. Halfwassen 2006, 10-11.

51 დამასკიოსთან ერთისადმი პატივისცემის შესუსტებას განსაკუთრებით ცხადად უნდა წარმოაჩენდეს მომდევნო პასაჟი. *Pr.* I, 104, 18-20: ἡμεῖς δὲ νῦν ἀτιμάζομεν καὶ τὸ ἓν, πρὸς τὴν ἐκείνου θέσιν ἀτιμάζοντες, ἐπεῖ σεμνοτέρα γε φανεῖται τῷ ἀπορρήτῳ μόνῳ σεμνυνθεῖσα παρ’ ἡμῶν, εἰ θέμις εἰπεῖν. აქვე მოვიყვანთ მოცემული პასაჟის თარგმანს: „ჩვენ კი ახლა ერთსაც არ ვაფასებთ, და ამით იმის [sc. პითაგორას] დებულებას ვამხობთ, ვინაიდან ის [sc. საწყისი] უფრო წმინდა ჩანს, როდესაც ჩვენი მხრიდან მხოლოდ გამოუთქმელის სახელით არის განდიდებული, თუ შეიძლება ასე ითქვას.“

52 Dam. *Pr.* I, 11, 4-8.

53 Dam. *Pr.* I, 5, 20: συναίσθησιν τῆς ὑπερηφάνου ταύτης ἀληθείας.

საწყისებზე და მათდამი დაქვემდებარებულ საგნებზე უფრო ფასეულია ის, რაც ამ ყველაფრისგან განმდგარია და არანაირ თანწყობასა და კავშირში არ თავსდება.[54] აქედან აშკარაა, რომ დამასკიოსისთვის ყველაზე პრიორიტეტული და პატივსაცემი გამოუთქმელობა, უმიმართებობა, ყველანაირი წესრიგისგან მოწყვეტა ხდება. პლოტინთან და პროკლესთან რეალობაში ყველაზე დასაფასებელი ერთობა იყო.[55] ნებისმიერი საგნისადმი მიგებული პატივი ამ საგანში ჩადებული ერთობის ხარისხით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული.[56] საბოლოოდ კი, ყოველი შეფარდებითი ერთი თავისთავად ერთზე დაიყვანებოდა. უზენაესი ერთი, თავის მხრივ, დამასკიოსის გამოუთქმელის მსგავსად, გამოუთქმელად, უმიმართებოდ და ყველაფრისგან განმდგარად გაიაზრებოდა. თუმცა, უმთავრესი განსხვავება ისაა, რომ პლოტინთან და პროკლესთან გამოუთქმელობა, უმიმართებობა, თანუწყობლობა და სხვა მსგავსი ნეგატიური კატეგორიები მხოლოდ თავისთავადობაში ტრანსცენდენტური ერთის ბუნებაზე მითითებას ემსახურებოდა და დამოუკიდებელი დატვირთვა არ გააჩნდა. დამასკიოსი უკვე ზემოთ მითითებულ კატეგორიებს ერთზე დაქვემდებარებისგან ათავისუფლებს და რეალობაში ყველაზე დასაფასებლად მიიჩნევს. უკანასკნელი დიადოხოსის მეტაფიზიკურ სისტემაში უზენაესი

---

[54] Dam. *Pr.* I, 5, 20 – I, 6, 7.

[55] ზემოთქმულის სანიმუშოდ იხ. Procl. *in Prm.* 54k-61k მონაკვეთი, რომელშიც პროკლე ხსნის, თუ რატომ მიესადაგება უპირველეს, თავისთავად გამოუთქმელ საწყისს „ერთის“ სახელწოდება, და თან ერთისადმი თავის უზარმაზარ სიყვარულს გადმოსცემს. მისი გაგებით, პირველსაწყისის გამოუთქმელობის მიუხედავად, „ერთის“ ცნება ყველაზე მეტად შეეფერება „პირველს“. ერთი ყველაზე წმინდა რამაა. ყოველი საგანი ერთიანობით სრულიყოფა და გადარჩება.

[56] Plot. VI 9, 1, 1: πάντα τὰ ὄντα τῷ ἑνὶ ἐστιν ὄντα; Plot. VI, 9, 1, 27-28: ὥστε τὰ μὲν ἧττον ὄντα ἧττον ἔχειν τὸ ἕν, τὰ δὲ μᾶλλον μᾶλλον. შდრ. Procl. *Inst.* prop. 1-2; 12-13.

ერთი, როგორც ერთი-ყველაფერი, ყველაფრისადმი თანწყობილად და გამოთქმადად იქცევა. შესაბამისად, მისი უმიმართებობა, თანუწყობლობა და გამოუთქმელობა შეფარდებითი ხდება. ამიტომ, იგი უმაღლეს პრიორიტეტებად აღიარებულ უმიმართებობაზე, თანუწყობლობასა და გამოუთქმელობაზე დამოკიდებულებაში დგება და მათ ფონზე ჩრდილში ინაცვლებს. De Principiis I, 56, 5-10-ის მიხედვით, ერთი თავისი ბუნებით შეუმეცნებელი ვერ იქნება, რადგან „შეუმეცნებელი" ერთის მიღმური და სრულიად გამოუთქმელია. დამასკიოსის სიტყვებით, ერთი დაუჯერებელ საწყისთან ყველაზე ახლოს იმყოფება და მასთან მეზობლობით იჩრდილება.[57] ამგვარად, თვითერთი, ისევე როგორც გამოუთქმელის ჰიპოსტასირების შემდეგ ნებისმიერი მეტაფიზიკური რეალია დამასკიოსთან, უნივერსუმის ფარგლებში კუთვნილ პოზიციასა და სტატუსს უკვე გამოუთქმელთან სიახლოვის მიხედვით მოიპოვებს.

De Principiis-ის მეორე ნაწილში დამასკიოსი გამოუთქმელ პირველსაწყისამდე აღმასვლის გზას (ἀνάβασις) შლის.[58] კვლევა სრულიად გამოთქმადი შეგრძნებადი საგნებიდან იწყება და, საბოლოოდ, გამოუთქმელამდე ადის. აღმასვლა სამი კრიტერიუმის – დაუჭირვებლობის (ἀνενδεές), უმჯობესობისა (κρεῖττον) და სრულყოფილების (აბსოლუტურობის) (παντελές) – მიხედვით წარმოებს. როგორც უკვე ითქვა, თვითერთის მიზეზობრიობას, საწყისობასა და პირველობას დამასკიოსი საკუთრივი მნიშვნელობით იაზრებს. ცხადია, ინკლუზიური თვითერთი, რომელიც თავისთავადობაში მიმართებას ამჟღავნებს წარმოებულებთან და თავისი პრიორიტეტის განსამტკი-

[57] Dam. *Pr.* I, 56, 5-10

[58] Dam. *Pr.* I, 25, 18 – I, 27, 4.

ცებლად, რეალურად, მეორეულებს საჭიროებს, აბსოლუტურად თვითკმარი ვერ იქნება. ერთისგან განსხვავებით, გამოუთქმელი საკუთრივი მნიშვნელობით აღარც „საწყისად“ შეიძლება იწოდებოდეს და აღარც „ყველაფრისგან განყენებულად“. ამიტომ, ის ყველაზე თვითკმარია. უთვითკმარეს გამოუთქმელს დამასკიოსი სრულიად მიუწვდომლად სახავს და მისთვის პატივმიგების ერთადერთ ღირსეულ ფორმად დუმილს მიიჩნევს.[59] თუმცა, ეს მას ხელს არ უშლის, გამოუთქმელი ერთზე უკეთესად განსაზღვროს. ერთი-ყველაფრის შეუმეცნებადობა აბსოლუტური ვერ იქნება, მაშინ როდესაც გამოუთქმელი არანაირად არ გაიაზრება და სრულიად თანუწყობელია. ვინაიდან დამასკიოსისთვის სინამდვილის იერარქიაში უკეთესი და უარესი პოზიციების გადანაწილებისას ამოსავალი გამოუთქმელობის, შეუმეცნებადობისა და უმიმართებობის კატეგორიებია, ლოგიკურია, გამოუთქმელი, რომელიც ყველანაირ მიმართებებს უსხლტება, უნდა აღემატებოდეს ყველაფრის საკუთრივ მწვერვალად წარმოდგენილ, გამოთქმად ერთ-ყველაფერს. ამავე ლოგიკით, ერთი, რომელიც უმარტივესი ფორმით ყველაფერს მოიცავს, ვერანაირად ვერ იქნება არაფრის შემცველ გამოუთქმელზე უფრო აბსოლუტური. თუ პლოტინთან და, მის კვალად, პროკლესთან ყველაფრის აყვანა ერთამდე[60] ხდებოდა და, ბუნებრივია, კონცენტრაციაც, უმთავრესად, ყოვლისმიღმურ ერთზე მოდიოდა, დამასკიოსთან იგივე პატივი უკვე გამოუთქმელს მიეგება. უკანასკნელი დიადოხოსის მეტაფიზიკურ სისტემაში ანაგოგიური გზის საბოლოო პუნქტი

---

[59] Dam. *Pr.* I, 26, 23 – I, 27, 4.

[60] ἀναγωγὴ εἰς ἕν. პლოტინთან ἀναγωγὴ εἰς ἕν ყოველი არსებულის აბსოლუტურად მარტივ და უპირველეს ერთამდე აყვანის აუცილებლობას გამოხატავს. შდრ. Plot. III 8, 10, 20; V 5, 4,1; VI 8, 21, 22.

არის არა ერთი, არამედ ერთის მიღმური და ერთისგან დამოუკიდებელი გამოუთქმელი.

გამოუთქმელზე მსჯელობა ბუნებრივად წამოჭრის შემდეგ კითხვებს: რა სარგებელი შეიძლება მოჰქონდეს უნივერსუმისთვის უთვითკმარეს არარაობას, რომელიც ტოტალობასთან არანაირ მიმართებაში არ დგას? რატომ არის ის ერთზე აღმატებული და რატომ მიიჩნევა უმჯობეს არარად? De Principiis I, 6, 27 – I, 7, 2-ში ძალიან მოკლე პასუხია გაცემული ამ და მსგავსი შინაარსის სხვა კითხვებზე. დამასკიოსი ამბობს, რომ ყველაზე აუცილებელი სარგებელი გამოუთქმელისგანაა.[61] ყველაფერი იდუმალი გზით „საიდუმლოს“ წმიდათაწმიდადან გამოდის. გამოუთქმელიდან გამოსვლა ისე არ ხდება, როგორც ერთი გამოავლენს მრავალს, ერთიანი კი – დიფერენცირებულებს. გამოუთქმელი ყველაფერს გამოუთქმელად წარმოქმნის. გამოუთქმელიდან გამოუთქმელი სახით განხორციელებულ პროოდოსზე საუბრისას დამასკიოსი მეტად უახლოვდება პროკლეს, რომელიც ყველაფრის სრულიად გამომრიცხავი, ექსკლუზიური ერთიდან პროოდოსს ასევე გამოუთქმელად მიიჩნევდა და უზენაეს ერთს გამოუთქმელ, სრულიად შეუმეცნებელ მიზეზად[62] სახავდა. თუმცა, პროკლესგან დამასკიოსს რამდენიმე არსებითი მომენტი განასხვავებს: 1. დამასკიოსის ერთი ყველაფერს შეიცავს და ყველაფრის საკუთრივ მიზეზად გაიაზრება, მაშინ როდესაც პროკლეს უზენაესი ერთი ექსკლუზიურია და გამოუთქმელ მიზეზად განისაზღვრება; 2. დამასკიოსი უარყოფს თავისთავადობაში ერთის ტოტალობის-

---

[61] Dam. *Pr.* I, 6, 27-28: εἰ δὲ χρείαν αὐτοῦ τινα ἐπιζητοῦμεν, αὕτη ἐστὶν ἡ πάντων ἀναγκαιοτάτη χρεία τὸ ἐκεῖθεν.

[62] ἄρρητος αἰτία, παντελῶς ἄγνωστος αἰτία. შდრ. Procl. *Theol. Plat.* III 1, 5, 17-18; III 7, 29, 10-16; III 7, 29, 24: III 14, 50, 18; III 19, 66, 4; III 22, 81, 1.

გან განყენებულობასა და სრულ გამოუთქმელობას. მისი თვალთახედვით, აბსოლუტურ გამოუთქმელობას ფლობს არა ერთი, არამედ თავად ერთის მიღმური გამოუთქმელი; 3. ვინაიდან ერთი-ყველაფრიდან სიმრავლის წარმოშობა per se სრულიად გამოუთქმელი არაა, დამასკიოსთან გამოუთქმელი საწყისისა და მიზეზის ფუნქცია ერთი-ყველაფრის მიღმურ გამოუთქმელზე გადადის; 4. პროკლე გამოუთქმელ და სრულიად შეუმეცნებელ მიზეზად აღიარებული წმინდა ერთის მიზეზობრიობას ex effectibus სისტემურად იკვლევს, მაშინ როდესაც დამასკიოსთან მეორეულთა გადასახედიდან გამოუთქმელის პოზიტიური მნიშვნელობის შესახებ მსჯელობას ძალიან მცირე ადგილი ეთმობა; 5. გამოუთქმელსა და ტოტალობისგან ასევე ბოლომდე განმდგარ წმინდა, ყველაფრის არანაირად არშემცველ ერთს შორის მსგავსების მიუხედავად, დამასკიოსი მრავალჯერ უსვამს მკაფიოდ ხაზს, რომ ყველაფრის გამოუთქმელი საწყისი (გამოუთქმელი) ერთი არაა. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ უკანასკნელი დიადოხოსისთვის დომინანტური გამოუთქმელია. ყველაფრის გამოუთქმელი წარმოება და ყველაზე აუცილებელი სარგებელი მიეწერება არა ერთს, არამედ ჰიპოსტასირებულ გამოუთქმელს.

De Principiis I, 17, 24 – I, 18, 4-ში დამასკიოსი დაახლოებით შემდეგნაირად მსჯელობს: გამოუთქმელ საწყისთან დაკავშირებით ვერაფერს მივხვდებოდით, ჩვენში მისი კვალი რომ არ იყოს. შესაძლოა, უნდა ითქვას, რომ გამოუთქმელი საწყისი ყველაფერს ანიჭებს გამოუთქმელთან ზიარების შესაძლებლობას, რის შედეგადაც ყოველ საგანში არსებობს რაღაც გამოუთქმელი. ზოგიერთი საგანი მეტად გამოუთქმელია, ზოგიც ნაკლებად, როგორც, მაგალითად, ერთი არსებულზე, არსებული

სიცოცხლეზე, სიცოცხლე გონებაზე და ა. შ. ამავე პრინციპით „ათვლა“ შეიძლება მატერიიდან დაიწყოს და უარესიდან უკეთესამდე, ანუ უფრო გამოუთქმელამდე, ავიდეს. თუ ამ ყველაფერს ვივარაუდებთ, მაშინ გამოუთქმელი მიზეზიდან პროოდოსი და გამომავალთა საიდუმლო წყობა შეიქმნება. ყოველი გამოთქმადი დაიყვანება გამოუთქმელზე, რომელიც თან ყველგანაა და თან გამოთქმადთაგან განყენებულია. საბოლოოდ მიიღება სამი მონადა და რიცხვი: არსებითი (τὸν οὐσιώδη), ერთებრივი (τὸν ἑνιαῖον) და საიდუმლო (τὸν ἀπόρρητον). აქ მოყვანილ მსჯელობაში დამასკიოსი პროკლეს ჰენოლოგიური მეტაფიზიკური სისტემის მიბაძვით[63] გამოუთქმელიდან ამოსული, ასე ვუწოდოთ, სუპრა-ჰენოლოგიური მეტაფიზიკური სისტემის გამართვის შესაძლებლობებს გამოცდის. ის ერთდროულად წარმოდგება პროკლეს განმეორებად და ოპოზიციად. განმეორებად იმიტომ, რომ აბსოლუტურად გამოუთქმელზე ზუსტად ისევე აიგება მეტაფიზიკური მოდელი, როგორც ეს პროკლემ წმინდა, per se სრულიად გამოუთქმელ ერთზე დაყრდნობით გააკეთა; ოპოზიციად კი იმის გამო, რომ პროკლეს ექსკლუზიური თვითერთის ადგილს დამასკიოსის მიერ შემუშავებულ მოდელში ერთი-ყველაფრის მიღმური გამოუთქმელი იჭერს. თუმცა, დამასკიოსი მოცემულ პასაჟშივე იხევს უკან. „უკანასკნელი ნეოპლატონიკოსი“ მალევე უკუაგდებს გამოუთქმელთან ზიარებისა და სინამდვილის იერარქიაში გამოუთქმელი საწყისის, თუნდაც მხოლოდ არასაკუთრივი მნიშვნელობით, ჩართვის შესაძლებლობებს. დამასკიოსის აზრით, ასეთ შემთხვევაში გამოუთქმელში დაშვებული უნდა ყოფილიყო ის, რაც მასთან მიმართებით აზროვნებამ

[63] იხ. Procl. *Inst.* prop. 12-44.

აქამდე გადაჭრით უარყო – ერთი, სიმრავლე, პირველთა, შუალედურთა და უკანასკნელთა წყობა, მდგომობა, გამოსვლა და დაბრუნება. როგორც ჩანს, უკანასკნელი დიადოხოსის თვალთახედვით, სინამდვილის ყოველ დონეზე გამოუთქმელი საწყისის კვალის თანმიმდევრული გატარება და ყველაფრის გამოუთქმელზე დაყრდნობით მეცნიერული კვლევა გამოუთქმელის გამოუთქმელობას აქვეითებს. ამიტომ, გამოუთქმელთან დაკავშირებით დამასკიოსი დუმილს ამჯობინებს.

ერთზე და გამოუთქმელზე დამასკიოსის სწავლების სახით თავისი განვითარების ისტორიის დასასრულს ანტიკურმა ნეოპლატონურმა მეტაფიზიკამ საკუთარ თავთან დაპირისპირება და საკუთარ საზღვართა გადალახვა სცადა. ის გამოუთქმელისკენ მიდრეკილებაში განხორციელდა. თუმცა, დამასკიოსმა უარი თქვა, განევითარებინა თავისი აბსოლუტურად გამოუთქმელი საწყისიდან ყველაფრის იდუმალი გზით წარმოქმნის საკითხი, აესახა გამოუთქმელის მიზეზობრივი ქმედითობა და მეტაფიზიკური სისტემა ისევე თანმიმდევრულად დაეფუძნებინა ყოვლისმიღმურ გამოუთქმელზე, როგორც ეს პროკლემ წმინდა ერთზე დაყრდნობით გააკეთა. მან აღიარა გამოუთქმელიდან მომდინარე ყველაზე აუცილებელი სარგებელი, მაგრამ ეს „სარგებელი“ სისტემურად არ დაასაბუთა.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები:

Damascius. 1889. *Dubitationes et Solutiones de primis principiis, in Platonis Parmenidem,* vol. 1-2. ed. Ch. Ém. Ruelle. Paris: Klincksieck [repr. Bruxelles, 1964; Amsterdam, 1966].

Damascius. 1986–1991. *Traité des Premiers Principes,* vol. 1-3. Texte établi par L. G. Westerink et traduit par J. Combès. Paris: Les Belles Lettres.

Plotin. 1956–1971. *Schriften*. Übersetzt von R. Harder. Neubearbeitung mit griechischem Lesetext und Anmerkungen, fortgeführt von R. Beutler und W. Theiler, 6 Bände. Hamburg: Felix Meiner Verlag.

Proclus. 1864. *In Platonis Parmenidem commentaria*. ed. V. Cousin. Paris.

Proclus. 1953. *In Parmenidem VII, Parmenides usque ad finem primae hypothesis nec non Procli commentarium in Parmenidem*, pars ultima adhuc inedita, interprete Guillelmo de Moerbeka, ed. R. Klibansky et L. Labowsky. London: Corpus Platonicum Medii Aevi, Plato III.

Proclus. 1963. *The Elements of Theology.* A revised Text with Translation, Introduction and Commentary, edited by Eric R. Dodds. Oxford: Clarendon Press.

Proclus. 1968–1997. *Théologie Platonicienne*, vol. 1–6. Texte établi et traduit par H. D. Saffrey et L. G. Westerink. Paris: Budé.

გამოკვლევები:

ალექსიძე, ლელა. 2017. „დამასკიოსი: თვით-ობა და სხვაობა ონტოლოგიურად, ჩვენში და შემეცნებაში.“ *ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული* 6: 11-34.

Гарнцев, Михаил. 1999. “Дамаский о невыразимом.” *Логос* 6, 16: 23-30.

Cürsgen, Dirk. 2007. *Henologie und Ontologie. Die methaphysische Prinzipienlehre des späten Neuplatonismus.* Würzburg: Königshausen & Neumann.

Cürsgen, Dirk. 2008. “Was ist Erkenntnis? Die Epistemologie des Damaskios und das Begriffsfeld der γνῶσις zwischen Spekulation und Skepsis.” *Archiv für Begriffsgeschichte* 50: 75-98.

de Andia, Ysabel. 1996. *Henosis. L’Union à Dieu chez Denys l’Aréopagite.* Leiden/New York/Köln: E. J. Brill.

Halfwassen, Jens. 2006[2]. *Der Aufstieg zum Einen: Untersuchungen zu Platon und Plotin.* Leipzig: K. G. Saur München.

ქირია, ანა. 2019. „თვითერთის პროკლესეული გაგებისათვის.“ *ლოგოსი. წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში* 5: 193-226.

Lilla, Salvatore. 1997. “Pseudo-Denys l’Aréopagite, Porphyre et Damascius.” *Denys l’Aréopagite et sa postérité en Orient et en Occident. Actes du Colloque International, Paris, 21-24 septembre 1994.* Ed. Ysabel de Andia, 117-152. Paris: Institut d’Études, Augustiniennes.

Mazzucchi, Carlo Maria. 2006. “Damascio, Autore del Corpus Dionysiacum, e il dialogo Περὶ Πολιτικῆς Ἐπιστήμης.” *Aevum: Rassegna di scienze storiche linguistiche e filologiche* 80, 2: 299-334.

Mazzucchi, Carlo Maria. 2013. “Iterum de Damascio Areopagita”. *Aevum: Rassegna di scienze storiche linguistiche e filologiche* 87, 1: 249-265.

Napoli, Valerio. 2008. *Epekeina tou henos. Il principio totalmente ineffabile tra dialettica ed esegesi in Damascio.* Catania, Italy: CUECM.

van Riel, Gerd. 2010. “Damascius.” In *The Cambridge History of Later Greek and Early Medieval Philosophy,* Vol. II, edited by Lloyd Gerson, 667–696. Cambridge: Cambridge University Press.

Vlad, Marilena. 2014. “Discourse and Suppression of Discourse in Damascius’ *De principiis.” Rhizomata* 2, 2: 213-233.

Vlad, Marilena. 2017. “Stepping into the Void: Proclus and Damascius on Approaching the First Principle.” *The International Journal of the Platonic Tradition* 11, 1: 46-70.

Ana Kiria
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Damascius on the One and the Ineffable

Keywords: *Damascius, the One, the Ineffable*

Damascius was the last scholarch of the School of Athens. He is doubtless the most original thinker of late-ancient Platonism. The aporetic nature of his philosophy is a consequence of his constant discontent with the Proclean systematization of the late Platonic doctrine. The present article discusses Damascius' theory of the One and the Ineffable (τὸ ἄρρητον). Damascius introduces a strict distinction between the Ineffable and the One, thus reacting against Proclus' attempt to combine the One and the Ineffable. The One is posed by Damascius as the first, genuine cause of all things, whereas the Ineffable is absolutely transcendent and has no causal relation. The One must produce all things since it contains them beforehand in an unitary way, i.e., without any differentiation, and at the subsequent levels of reality, the totality of all things becomes gradually developed from this initial unity. In the most elaborate terminology, Damascius calls the supreme One 'the One-All' (τὸ ἓν πάντα). In contrast to Proclus, Damascius argues for the acceptance of an ineffable principle beyond the One. The Ineffable is absolutely detached from all things and escapes all notional determination. Thus, it cannot properly be called a principle. In an effort to express its radical transcendence, Damascius refuses to emphasize the positive role of his ineffable 'principle' in the constitution of the universe.